

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010. ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ №34, ტელ/ფაქსი (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>არქიტექტურა</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>არქიტექტურის ბაკალავრი</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>240 კრედიტი: ძირითადი სპეციალობა - 180 კრედიტი. დამატებითი სპეციალობა ან არჩევითი კურსები - 60 კრედიტი.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<ul style="list-style-type: none"> • მოამზადოს არქიტექტურის განათლების მქონე, თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, კონკრეტული ამოცანის დასმისა და მისი გადაწყვეტის უნარ-ჩვევებით, როგორც კლასიკური მეთოდებით, ასევე თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით • შეასწავლოს სტუდენტს არქიტექტურული და მოცულობითი დაგეგმარების, ინტერიერისა და დიზაინის, კომპოზიციისა და ქალაქგეგმარების, არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორიის თეორიები და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროები: სოციალური, ჰუმანიტარული, გრაფიკული და სხვა მეცნიერებები • შეასწავლოს სტუდენტს საშუალო სირთულის შენობა-ნაგებობების გაანგარიშება მისი გეომეტრიული ფორმათწამოქმნისა და ზიდვის უნარის უზრუნველყოფის თვალსაზრისით შრომისა და მასალის მინიმალური დანახარჯებით • ჩამოუყალიბოს, სტუდენტს პასუხისმგებლობის, გუნდში მუშაობისა და თავისი შემდგომი პროფესიული განვითარების დაგეგმვის უნარი.
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <ul style="list-style-type: none"> • ფლობს არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორიის, არქიტექტურული და მოცულობითი დაგეგმარების, ქალაქგეგმარებისა და დიზაინის, კომპოზიციისა და ინტერიერის თეორიებსა და მასთან დაკავშირებული აკადემიური სფეროების: სოციალური, ჰუმანიტარული, ხელოვნების, საინჟინრო მეცნიერებებს და ახდენს მათ კრიტიკულ გააზრებას • ფლობს ხატვის, ფერწერის, ქანდაკების, ხაზვის, მახაზველობითი გეომეტრიის, კომპიუტერული გრაფიკის (AutoCAD, 3D Studio Max, ...), ვერბალური, წერითი, მულტიმედიური თეორიების ძირითად მეთოდებს არქიტექტურული თეორიების შესასწავლად და ახდენს მათ კრიტიკულ გააზრებას • ფლობს შენობა-ნაგებობის სტრუქტურების, კონსტრუქციების, მასალების, საინჟინრო გაანგარიშების საფუძვლებს, ზუსტი, ბუნებისმეტყველებისა და მექანიკის მეთოდების გამოყენებით, საჭირო არქიტექტურულ-სამშენებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის • აცნობიერებს სოციალურ-კულტურულ, ქალაქთმშენებლობით, არქიტექტურულ ფასეულობებს და კონტექსტებს, ასევე, გარემოს დაცვასა და არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობებს. <p>უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> • ქმნის არქიტექტურულ პროექტს საშუალო სირთულის შენობა-ნაგებობებზე არქიტექტურული და მოცულობითი დაგეგმარების, არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორიის, ქალაქგეგმარებისა და დიზაინის, კომპოზიციისა და ინტერიერის, ძირითადი მეთოდების გამოყენებით ტექნიკური, ფუნქციური, ესთეტიკური, ეკოლოგიური,

	<p>უსაფრთხოების, კულტურული მემკვიდრეობის მოთხოვნების გათვალისწინებით.</p> <ul style="list-style-type: none"> • ამუშავებს და ქმნის არქიტექტურულ პროექტს საშუალო სირთულის შენობა-ნაგებობებზე ხატვის, ფერწერის, ქანდაკების, ხაზვის, მხაზველობითი გეომეტრიის, კომპიუტერული გრაფიკის (AutoCAD, 3D Studio Max, ...), ვერბალური, წერითი, მულტიმედიური ძირითადი მეთოდების გამოყენებით • ქმნის სამშენებლო-კონსტრუქციულ პროექტს საშუალო სირთულის შენობა-ნაგებობებზე მისი გეომეტრიული ფორმათწამოქმნისა და ზიდვის უნარის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ზუსტი, ბუნებისმეტყველების, საინჟინრო მექანიკის ძირითადი მეთოდების გამოყენებით ტექნიკური, ფუნქციური, ესთეტიკური, ეკოლოგიური, უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით. <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p> <ul style="list-style-type: none"> • არქიტექტურული პროექტის მომზადებისას, იცავს ეთიკის მოთხოვნებს, გუნდური მუშაობის პრინციპებს, პასუხისმგებლობით ეპყრობა კულტურული მემკვიდრეობის, ეკოლოგიისა და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებს • გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>(A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს ბუფლევა ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს.</p> <p>(F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>გაიოზ (გიზო) ფარცხალაძე, პროფესორი ტელ: +995 577 59 59 43 ელ-ფოსტა: gizo.partskhaladze@bsu.edu.ge გოჩა ჩავლეშვილი, ასოცირებული პროფესორი ტელ: 593395486 ელ-ფოსტა: gocha.chavleshvili@bsu.edu.ge</p>